ძაღლების პარკი

კონცეპტუალური მონახაზი ძაღლებისათვის სპეციალიზირებული სივრცის შესაქმნელად ქალაქის სახის და საზოგადოების კმაყოფილების გასაუმჯობესებლად

აუცილებლობა

თანამედროვე საზოგადოებას თავისი თავსატეხები აქვს. ტრანსპორტი, ინფრასტრუქტურის გამართულობა, უსაფრთხოება. ხალხი მაქსიმალურად ცდილობს გარემო საკუთარი კომფორტის და მოთხოვნების მიხედვით მოაწყოს. მაგრამ, რა ვუთხრათ მათ, ვისი კომფორტი და მოთხოვნები ჩვენსას ცოტათი ეწინააღმდეგება? ჩვენ პატარა ყველაზე ერთგულ მეგობრებს. ძაღლებს.

დღეს, ბევრი ადგილის კარებთან, ვნახავთ ნიშნებს შესასვლელთან რომლებიც ამ საყვარელ ოთხფეხა არსებებს შესვლას უკრძალავენ. კაფეები, მაღაზიები და საზო- გადოებრივი ტრანსპორტი გასაგებია, ძაღლებს დიდად არც აქვთ ამ ადგილებში ყოფნის სურვილი. მაგრამ აი პარკებში თავისუფლების შეზღუდვა, საკმაოდ მძიმე ტვირთია მათი ენერგიის განთავისუფლების სურვილზე.

პირბადით და საბელი ნამდვილად არ წარმოადგენს მხიარული თამაშის იდეას ძაღლებისთვის. თანაც, ეს მოცემულობა არ ეძებს დამნაშავეებს. თავისთავად, უსაფრთხო- ება და ჰიგიენა პირველ რიგში უნდა იყოს საზოგადოებრივი წესრიგის პრიორიტეტებში. მაგრამ, საჭიროა ვიპოვოთ კომპრომისი სადაც ხალხის და ძაღლების კომფორტიც იქნება გათვალისწინებული.

ასეთი კომპრომისი უკვე იპოვეს - ძაღლების პარკი. სპეციალიზირებული შემო- საზღვრული გამწვანებული ზონა, სადაც ძაღლებს საბელის და პირბადის გარეშე შეუ- ძლიათ აქტიურობა.

Dog Wood Park, ჯექსონვილი, ა.შ.შ.

ძაღლების პარკი წარმოადგენს ჩვეულებრივ პარკს, რომელიც მოდიფიცირებულია ძაღლებისათვის მორგებული სივრცის შესაქმნელად. პირველ რიგში, ტერიტორია შემო- ღობილია, რათა ოთხფეხებს პირბადის და საბელის გარეშე შეეძლოთ შიგნით მოძრაობა. უსაფრთხოებაზე პასუხსმგებლობა მთლიანად ცხოველთა მეპატრონეებზეა. მსგავს პარკში შესვლისას ადამიანი ითვალისწინებს მთელ პასუხისმგებლობას თავისუფლად მყოფ ძაღლების სივრცეში ყოფნის.

მოდიფიცირებული სივრცე მოისაზრებს, რომ გარემოში იმყოფება ძაღლებისთვის გასართობი დანადგარები. სახტომი ბარიერები, სასიარულო ამაღლებული ბილიკები, ბოძები სლალომისთვის. მთავარი თავისთავად გაშლილი სივრცეა, სადაც ცხოველები თავისუფლად სირბილს და ხტუნაობას შეძლებენ. სასურველია აკომოდაციები მეპატ- რონეებისთვის, როგორც მინიმუმი დასაჯდომი სკამები. ასევე, სანაგვე ურნების სიახ- ლოვე.

ძაღლების პარკის დაბრკოლებები

მიუხედავად ნათელი დადებითი მხარეებისა, რომლებსაც რამოდენიმე აბზაცის შემდეგ განვიხილავთ, ძაღლების პარკს აქვს გარკვეული მომენტები რომლებზეც დაფიქრება პროექტის

რეალიზაციამდე არის საჭირო. მოცემული მაგალითები ეყრდნობა ჩატარებულ გამოკვლევებს სხვადასხვა ქალაქებში არსებული ძაღლების პარკების შესწავლით. გამოყენებილია მონაცემები ლიტერატურიდან: *Dog Parks: Benefits and Liabilities (ძაღლების პარკი დადებითი და უარყოფითი მხარეები)*, ლორენ ალენი, პენსილვანიის უნივერსიტეტი, 2007; *UNLEASHED: A GUIDE TO SUCCESSFUL DOG PARKS (საბელს მოშვებული: წარმატებული ძაღლების პარკის წინამძღვარი),* სამხრეთ ავსტრალიის მთავრობის - ძაღლების და კატების მოვლის დეპარტამენტი, 2013;

- ძაღლების პარკის ტერიტორიული განლაგების მიხედვით, შესაძლებელია კონფრონტაცია ახლოს მცხოვრებ საზოგადოებასთან. ძირითადად, საყვედურები ეხება ხმაურს და სუნს. გასაგებია, რომ ხალხს არ მოსწონს როდესაც სახლში გამუდმებული ძაღლების ყეფა ესმით. ზოგ ქალაქს წლები სჭირდება, რომ მცირე ძაღლების პარკის პროექტიც დაადასტუროს. მნიშვნელოვანია პარკის ისეთი ტოპოგრაფიული განთავსება, სადაც მოსახლეობის საცხოვრებელი ზონა შეწუხებული არ იქნება პარკის აქტიურობით;
- პარკის ზომა ადეკვატურად უნდა იყოს შერჩეული უსაფრთხოების დასაცავად. მეპატრონეს უნდა ჰქონდეს მუდმივი თვალყურის დევნის საშუალება თავის ცხოველზე, რადგან მომენტალურად შეძლოს ჩარევა ძაღლის ქცევაში ხარვეზის წარმოქმნის შემთხვევაში, როგორიცაა ძაღლის ტრავმის წარმოქმნის საშიშროება ან სხვა ძაღლთან კონფრონტაცია. დიდი ტერიტორიის პირობებში, მისაღებია ზონებად სეგრეგაცია, რათა სამეთვალყურეო არე შემცირებული იყოს და მეპატრონეებს გაუადვილდეს საკუთარი და სხვისი ძაღლების უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- საზოგადოება ინფორმირებული უნდა იყოს ძაღლების პარკის სწორად მოხმარების პირობებზე. არ შეიძლება პარკის ფარგლებში ისეთი ძაღლის გაშვება, რომელიც მთელი სხვა პერიოდი დაბმულია ერთ წერტილზე, რადგან მოზღვავებული ნეგატიური ენერგია აქვს და არ იცის გარემოში სწორად თავის გამოხატვა. ასევე, საზოგადოებამ უნდა გაათვითცნობიეროს, რომ პარკი არ წარმოადგენს გასეირნების ცვლილებას. გასეირნება მაინც მნიშვნელოვან ელემენტად რჩება ძაღლის დადებითი მენტალური მდგომარეობის უზრუნველსაყოფად. ასევე, სანამ ცხოველი სპეციალიზირებულ პარკში გაიშვება, რეკომენდირებულია იქამდე 30-35 წუთი გასეირნებული იყოს. ეს საჭიროა მის დასაწყნარებლად და ახალი გარემოსთვის მოსამზადებლად. ასევე მეპატრონეებმა უნდა დაიცვან პარკის წესები, როგორიცაა ფეკალიების შეგროვება და ძაღლების დაწყნარება პრეაგრესიული ქცევის გამოვლენისას.
- პარკის ტერიტორია ადეკვატური უნდა იყოს ძაღლებისათვის. ზონა არ უნდა შეიცავდეს მახვილ კლდეებს ან ზედმეტად დახრილ აღმართებს, ბარიერები და სათამაშო სადგურები შემუშავებული შაბლონის მიხედვით უნდა იყოს აგებული და შეღებული იმ ფერებით, რომლების გარჩევაც ძაღლებს არ გაუჭირდებათ. გამწვანება არ უნდა შეიცავდეს ცხოველებისათვის საზიანო მომწამლავ მცენარეებს. ასევე ადამიანების უსაფრთხოებაც დაცული უნდა იყოს. შემოსაზღვრული ღობის სიმაღლე საკმარისი უნდა იყოს, რომ ცხოველებმა ტერიტორიის დატოვება გადახტომით ვერ შეძლონ. შესასვლელი პარკში კომპლექსური უნდა იყოს და ავტომატურად იკეტებოდეს, რათა ქუჩის ძაღლებმა ან სხვა ცხოველებმა შიგნით შესვლა ვერ შეძლოს.

ძაღლების პარკის ორგანიზება საგულდაგულო ყურადღების პროცესია. მნიშვნელოვანია ზემოთ აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინება. ტერიტორია ადეკ- ვატურად უნდა იყოს შერჩეული, რათა ყველა მონაწილე მხარეს აწყობდეს მოცემულ ადგილზე პარკის არსებობა. ასევე, საჭიროა საზოგადოების განათლება პარკის სწორად მოხმარებაზე.

ძაღლების პარკის დადებითი მხარეები

ზემოთ აღნიშნული გამოკვლევები აღწერენ ასევე დადებით გავლენებს, რომლებიც ძაღლების პარკის არსებობას მოაქვს საზოგადოებისთვის.

- სოციოლიზაცია ძაღლებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია. სხვა ძაღლებთან ურთიერთობა ამცირებს მათი სტრესის დონეს და ხელს უწყობს აგრესიული ქცევის შემცირებას. ასევე კარგია მათი მენტალური და ფიზიკური ჯანმრთელობისთვის;

- ძაღლების პარკი კარგი სოციალიზაციის ადგილია ადამიანებისთვისაც. შინაური ცხოველებით გატაცება კარგი საფუძველია თუნდაც უცნობ ხალხთან ჯანსაღი კომუნიკაციისთვის. პარკი საშუალება იქნება ახალი ხალხის გასაცნობად და საზოგადოებრივი შეკრულობის განვითარებისთვის;

- საკუთარი ცხოველების თავისუფალ გარემოში ნახვა მეპატრონეებს ასწავლის ახალ რაღაცეებს მათი ძაღლების შესახებ, რაც პარკის გარეთ თანაცხოვრებაში დაეხმარებათ;

- სპეციალიზირებული ძაღლების პარკის არსებობა, შეამცირებს აუცილებლობას რომ ხალხმა ქუჩაში და არამოდიფიცირებულ პარკებში ძაღლები საბელის გარეშე გაუშვან. ეს ამცირებს ალბათობას, რომ სხვა ადამიანი ძაღლის მსხვერპლი გახდეს ქუჩაში. ასევე მცირდება ინციდენტების რაოდენობა, სადაც საბელგარეშე დატოვებული ძაღლი საგრანსპორტო საშუალებას შეიძლება დაეჯახოს;

- ძაღლების პარკის არსებობა ხელს უწყობს საზოგადოებაში შინაური ცხოველების მოვლის კულტურის განვითარებას. მეპატრონეები გაუზაირებენ ერთმანეთს გამოცდილებას, იპოვიან ახალ გზებს იმ პრობლემების გადასაჭრელად, რაც შინაური ცხოველის ყოლას მოყვება;

- შინაური ცხოველების ყოლა უფრო პოპულარიზილებული იქნება. მრავალი კვლევის და სტატისტიკის თანახმად, შინაური ცხოველი ხელს უწყობს ოჯახის წევრების სტრესის დონის დაკლებას და სახლში უფრო კომფორტული გარემოს შექმნას. კარგი იქნება, თუ მოსახლეობა უფრო მოტივირებული იქნება შინაური ცხოველი იყოლიოს;

- ძაღლების პარკის არსებობა დამატებითი ტურისტული ობიექტია. საქართველოში ჯერ არ არის ოფიციალური ძაღლების პარკი და ასეთის არსებობა მთავარ ტურისტულ ქალაქში ხელს შეუწყობს ბათუმის სახის გაუმჯობესებაში. ტურისტები რომლებსაც ძაღლებთან ერთად სურთ მოგზაურობა, უფრო მოტივირებული იქნებიან ბათუმში ჩამოსასვლელად.

- საზოგადოებაში ძაღლების დადებითი და პოპულარული იმიჯის საფუძველზე, მსგავსი პარკი საინტერესო იქნება თუნდაც მათთვის, ვისაც არ ჰყავს შინაური ცხოველი. ძაღლების ასეთი თავშეყრის ადგილი მიმზიდველი ლოკაციაა სურათების გადაღების მოყვარულთათვის. ბავშვთან ერთად მოსეირნე ხალხიც არ გამოტოვებს შანს პატარას ასეთი ადგილი ანახოს. მოცემული პარკის სოციალური მიმზიდველობა სცდება მხოლოდ შინაური ცხოველების მეპატრონეებს.

- მსგავსი პარკი გამოსადეგარი პლატფორმაა ძაღლებთან დაკავშირებული ღონისძიებების ჩასატარებლად. ახალი აქტიურობა ჩვენს სოციალურ გარემოში დადებითად იმოქმედებს მოსახლეობის ინტერესების გაფართოებაზე;

ძაღლების პარკის კონცეპტი

ძაღლების პარკი წარმოადგენს სოციალური მნიშვნელობის ობიექტს და დადებითად მოქმედებს როგორც ხალხის გარემოზე, ასევე ცხოველების. ის კარგია ქალაქის სახისთვის და შინაური ცხოველების კულტურის პოპულარიზაციისთვის, რაც მოსახლეობის უკეთესი განწყობის მხარდამჭერი ფაქტორი ხდება.

შესაძლო ძაღლების პარკის ლოკაცია ბათუმში

ძაღლების პარკის ლოკაციის სკაუტინგის დროს შემჩნეული იყო ბათმში ჭაჭის სახლთან მიმდებარი პარკის ტერიტორია, გოგებაშვილის ქუჩაზე. მოცემული ადგილი აკმაყოფი- ლებს პირობებს, სადაც აღნიშნული პროქტის განთავსება შეიძლება:

- ლოკაცია მოშორებულია საცხოვრებელ ზონებს;
- გეოგრაფიულად არ შეიცავს ციცაბო ადგილებს და სახიფათო რელიეფს;
- ადგილზე არ არის სახიფათო მცენარეები;
- ტურტისტული მარშუტების ნაწილს წარმოადგენს;
- ღია გაშლილი სივრცე, სადაც ნებისმიერი ზომის და ფორმის შემოსაზღვრულობის გაკეთება შეიძლება;

მოცემული ადგილი მაგალითია, სადაც პარკი შეიძლება განთავსდეს. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ქალაქში სხვა ლოკაციების შერჩევაც. მთავარია ადგილი პასუხობდეს ყველა დაინტერესებული მხარის მოთხოვნებს, რათა ძაღლების პარკის გავლენა ქალაქზე მაქსიმალურად დადებითი იყოს, იმაზე დამატებით, რასაც ასეთი პარკის არსებობა ისედაც უზრუნველყოფს.